

კარმენ ოვსეპიანი



ლიდერობა თვისებაა, რომელიც ყველას არ გააჩნია. თვისება, რომელიც აქვთ მხოლოდ და მხოლოდ ერთეულებს. ლიდერებს გაჩნიათ ისეთი თვისებები, როგორცაა ჭკუა, კომუნიკაბელურები, ენერგიულობა, ენთუზიაზმი, სიმტკიცე, გაბედულება, პატიოსნება, საკუთარი ძალების რწმენა და ა.შ.

ლიდერი, რომელზეც ვაპირებ დაწერას, ოცი წლის ახალგაზრდა ქალაქტონი კარმენ ოვსეპიანია, რომელიც წარჩინებით დაამთავრა, ნინოწმინდის რაიონის სოფელ ეშტიის ნომერ პირველი საჯარო სკოლა ოქროს მედალზე. 1+4 პროგრამით (რომლის ფარგლებში ძალიან ბევრი არაქართულენოვანი მოქალაქე სწავლას აგრძელებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში) ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ახლა სწავლობს მედიცინის ფაკულტეტის მეორე კურსზე, მიუხედავად სწავლის სირთულისა და ქართული ენის კარგად არცოდნისა, სწავლისთანავე სოფლის სკოლაში, სადაც თვითონ სწავლობდა, ატარებს ბიოლოგიის დამატებით გაკვეთილებს, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ნინოწმინდაში მასწავლებლის, განსაკუთრებით კარგი მასწავლებლების ნაკლებობაა, რის გამოც სწავლების ხარისხი დაბალია.

გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, ის საზოგადოებრივი აქტივობებითაც არის დაკავებული: სკოლის ბავშვებთან ერთად დაასუფთავა სოფლის რვა სასმელი წყლის წყარო, სადაც მოსახლეობა ნაგავს ჰყრიდა. ყოველთვის ამბობს, რომ აპირებს სწავლის დამთავრების მერე დაბრუნდეს სოფელში და მთელი თავისი ცოდნა გამოიყენოს სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის. არის ძალიან ნიჭიერი, უშუალო, უბრალო და ბუნებრივი. ყველასთან აქვს კარგი ურთიერთობა, ყველას მოსწონს და თითქმის ყველას სჯერა მისი სიტყვის და დიდ იმედებს ამყარებს მასზე. ხატავს (ნატიურმორტს), არაჩვეულებრივად ცეკვავს თანამედროვე ცეკვებს, ხანდახან წერს ლექსებს სიყვარულზე და ადამიანურ თავისუფლებაზე. ახლა მჯერა რომ ამბობენ, ადამიანს თუ ნიჭი აქვს, ესეგი ბევრი აქვს, თუ არ აქვს, მაშინ საერთოდ არ აქვს.

ლიდერი ადამიანები და განსაკუთრებით ლიდერი ქალები ყოველთვის და ყველგან არის საჭირო. განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც ნამდვილად დაჩაგრულები არიან ქალები.

ნინა მარიკიანი